სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

25 / აპრილი / 2025 წ.

KA080113755261525

№ **1305**

განკარგულება

შპს „გზის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 22 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს „გზის“ (ს/ნ: 245525132) 2025 წლის 16 აპრილის №01/10-205 და №01/10-208 მომართვა და დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №3431 და №3444), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. მიმწოდებელმა 2025 წლის 25 აპრილს წარმოადგინა 2025 წლის 25 აპრილის 01/10-224 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №3553), რომლითაც მან გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2025 წლის 24 აპრილის №1067 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „გზის“ (ს/ნ: 245525132) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილების გათვალისწინებით, იწურება 2025 წლის 13 მაისს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „გზას“ (ს/ნ: 245525132) 2025 წლის 14 მაისიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე